

ლიცენზირებული საშუალო

საშუალოს მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშუალოს მოამბის“ ღამათება
№6, 30 ივნისი, ორშაბათი, 2025 წელი

 ერთი ლექსი

ლექსი – როგორც საშველი... (შოთა დარბუაშვილს)


ლექსი სულის სარკმლიდან ავარდნილი ალია,
მიდის, სივრცეს მიაღწევს, ცისკენ მიუხარია.
მერე რა, თუ ტკივილით იშვა, – ესეც ხვედრია,
უფალთან ხომ მუხლმოყრით დაზაფრულნი დგებიან.
ლექსი, როგორც საშველი, ლექსი, როგორც გრდემლის ხმა,
ნეტავი მას, ვისაც კი მისით ფრენა ეღირსა!
ლექსი, გულის ხანძარი, ლექსი – პერობა საპყართა,
ამ გულიდან წასული იმ გულს რომ ტყვედ ჩაბარდა!
ხშირად ბენვის ხიდზეც ხომ გაგატარა უვნებლად,
თან, ტალღების ღმუილშიც შენს გულის ხმას უსმენდა...
ლექსი, ზოგჯერ აისის, ზოგჯერ – გედის სიმღერა,
მაგრამ მაინც ხომალდი – შენი ხსნა რომ ინება!
სულის არტერიიდან მომჩქეფარი, ესოდენ,
წყალის გაღმა-გამოღმა პოეტები მეფობენ.

კარლ გერშვილი



ი უ ბ ი ლ ა რ ი

შოთა დარბუაშვილი – 70




მიმდინარე წლის 30 მაისს სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციულ ცენტრში, ქალბატონ თამარ ხიზანიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა შოთა დარბუაშვილის სამოცდაათი წლის საიუბილეო საღამო. პოეტს იუბილე მიულოცა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ბატონმა თამაზ ბესტაევმა; შეხვედრას ესწრებოდნენ მწერლები, ჟურნალისტები, ივ, მაჩაბლის სახელობის თეატრის მსახიობები, ანსამბლი „ნარტები“, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, ვისთვისაც ძვირფასია ბატონი შოთა და მისი შემოქმედება: მზია ხეთაგური, ეთო თედიაშვილი, გია კველიშვილი-ვესკი, ნაირა ბეპიევა, თამარ



შაიშმელაშვილი, გერონტი მესხი, ციცი გურიელი, თინა კვალინიძე, რობერტ ოდიკაძე, სოსო პავლიაშვილი, თინათინ კობალაძე, ციციწო ბაბუციძე...

სამოცდაათი წელი იქნებ არც ბევრია და არც ცოტა, მაგრამ სამშობლოსი და მშობლიური სამაჩაბლოს ბედ-იღბლით გულმოკლული პოეტისთვის ცოტაა, რადგან კიდევ ბევრი დარჩა სათქმელი „პროზის ციხეში“ გამომწვევადეული პოეტის გულსა და კალამს. მის ნათქვამი სიტყვა ბუდეაშლილი თანამემამულეებისთვის



სხვაგვარი სალბუნია სულისა და გონებისა - ფიქრისთვის დაბადებული პოეტი სიმართლეზე ალესილი სასიტყვეთით გულისგულში გვახედებს და მთელი სიგრძე - სიგანით წარმოგვიჩენს თავსდატეხილი უბედურების მიზეზსაც და შედეგსაც... ჩვეული გულმართლობით მზად არის მეგობრობის ხიდად გადოს ალალმართალი გულიდან სისხლის ცრემლით გამოწურული პროზა და პოეზია!

სიკეთითა და სიყვარულით ავსებს გულს შოთა დარბუაშვილის ლექსები. გვახსოვს, როცა საქართველო ჩაბნელებული იყო და სინათლე, მხოლოდ სახლებში კი არა, გულშიც აღარ იყო, შოთას



კარდაკარ დაჰქონდა თავისი პანანინა კრებული „საქართველოში ქართლის ცრემლია“... დევნილ ბავშვებს სათითაოდ ურიგებდა სათანადო წარწერით. – „მე ცხინვალელი ბიჭი ვარ, დედით და მამით ქართველი, /სიხარული ვარ, სიმღერა, ლექსი, ფიფქი და სანთელი“... – შეხსენება კი არ უნდოდა ჩვენს შვილებს, საიდან იყვნენ, მაგრამ ლექსი ანდერძივით ჟღერდა და როცა ამ სტრიქონებს წარმოსთქვამდნენ (და, წარმოთქვამენ ახლაც), ცხინვალურად ეჭირათ თავი და ცხინვალელობას სწავლობდნენ!

შოთა დარბუაშვილი განა მხოლოდ პოეტია! – ცხინვალს, საბჭოეთის პერიოდში ჰყავდა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ბონვარონი“ – იგი ამ ანსამბლის სოლისტი გახლდათ! პოპულარული ბიჭი იყო – გოგონები აფიშებიდან ჭრიდნენ მის ფოტოებს. შოთა დარბუაშვილი დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავდა – ცეცხლს ანთებდნენ სცენაზე... ორი ერის ძნელბედობამ ლეგენდარული ბიჭების ურთიერთობას ვერაფერი დააკლო, მაგრამ გაღმა-გამოღმა დარჩენილთა ერთმანეთის ჩახუტება და თანადგომა ნამდვილად აკლიათ! მოგვიანებით ხალხური ანსამბლი „ლიახვი“ შეიქმნა. ანსამბლის ხელმძღვანელი და იყო, ან განსვენებული, დიდი მაესტრო დავით ელბაქიძე. ქართული სული აამღერეს ბიჭებმა. არც ოსური რეპერტუარი აკლდათ – იღვრებიდნენ სიყვარულად, სიხარულად, იმედად... მერე, გამოღმა ნაპირზე დარჩენილმა პოეტმა კვლავ ძველებური რიხით ააყოლა ხმა ქართულ-ოსურ სიმღერებს – დღეს ანსამბლ „ნარტების“ სოლისტია და კი არ მღერის, კენესის, იმედის დამშრალ კალაპოტს ეხეთქება ლიახვის ტალღების ხმაურს მონატრებული გულით.

განუყოფელია შოთა და ცხინვალი... მამაკაცისთვის უჩვეულო სინაზეა მის მონატრებაში – იასამნის სურნელნაპკურები ლექსები ჩვენც ბედნიერ წარსულში გვაბრუნებს – ჩადედამინებულ, დახავსებულ იმედს გვინედლდებს და გვიფრთიანებს... დროდადრო „ძველბიჭობას“ იხსენებს და გიტარის სიმებს თრთოლვით ჩამოჰკრავს თითებს – ბედნიერ წარსულში გვაბრუნებს მისი ხმა, მაგრამ შავ-თეთრი, გაურკვეველი ანწყო, მაინც აწერინებს გულისამომგლეჯ სევდიან სტრიქონებს: „სახლებს იშენებენ ლტოლვილი ბავშვები,/ მიწაზე ლოგინად ქალაღი დაუგიათ,/ქვევით გაუნყიათ ოთახი

რამდენი/ ცხინვალზე ოცნების კოშკი აუგიათ. / დრომ და უღმობლობამ თქვენი სიზმრებიდან, / რამდენი გაზაფხული მონყვიტა, / ეგ თქვენი თვალები შიშით იმზირება, კუთვნილი სასახლე-ქობიდან. / კისერზე გვანება ლოდი, კვლავ ლოდინით, / მშობელო კუთხეც და ედემო, /

მანამდე დააგეთ ქალაქის ლოგინი/ თქვე, ბუდეშლილო მტრედებო!“ – ეს ლექსი კი არა, დევნილი ბავშვების გულში დაფესვიანებული, შრეებად დაწნეხილი ტკივილია. „გაურკვეველი არაფერია“... წერს ლექსში „ხან სევდიანი“, „ხან მხიარული“ პოეტი და შინ დაბრუნების ლოდინით დაღლილ გულზე ჩამოყავარჯნებულს მხოლოს იმის შიში აქვს, ვაითუ „უცხო ქალაქში მოუსწროს გარდაცვალებამ“!



„მამის იავნანას“ ჰგავს შოთას ლექსები – ისე უმღერის და ეფერება, თითქოს ჯერ თვითონ დაიბადა და მერე ჩვენი კოპნია ქალაქი. კარგად უწყის მშობლიური ქალაქის ისტორიის სიღრმე და სიმაღლე... სჯერა მრავალეროვნული სიყვარულისა და მეგობრობის ფესვების განედლების, ჩატეხილი ხიდის გამთლიანების, მავთულხლართის სამსჭვალეებიდან თავდახსნის, – „დაიღალა ქართველი, საქართველოს ლოდინში!“ ორმაგად მწარეა დევნილი პოეტის ბედ-იღბალი - აქაურიც უნდა იყოს და იქაურიც! როგორმე უნდა გააგებინოს მომავალ თაობას, რა არის მავთულხლართის მიღმა დარჩენილი, რა არის იქ ისეთი, რისთვისაც აუცილებლად უნდა დაბრუნდეს დევნილი! „გადახსნილი მაქვს გული მთლიანად, გამიშვლებული ხსოვნის წინაშე“ – წერს პოეტი და მწუხარედ მიმართავს „იქით“ დარჩენილ მიწა-წყალს: „ვერ გაიხარე... ალბათ ასეა – რაც იყო, ისიც წარსულში დარჩა, / ეს აწმყო შენთვის თეთრი ღამეა, სევდათა დრო და მთვარეთა მარხვა... / არაფერს არ გთხოვ, ეულად ვრჩები, იმედის ფსკერზე ხილვებს ვაპურებ, / სამაჩაბლოში ქართველის ცრემლია, როსმე, ეს ცრემლი გულზე მაპკურეთ!“ – დიდი, მამაცი გული აქვს პოეტს – ხელეწიფება მაჩაბლობა, ელიოზიშვილობა, ბესთაუთობა, კასრაძეობა... ძნელია ამ ტვირთის ტარება... უძლებს!

ციცინო ბაბუციძე –

სამაჩაბლოდან დევნილი პოეტი, პროზაიკოსი

სიონი მხატვრები



ვან გოგის ფერებით

18 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი განვითარების ცენტრში გამოფენა ჩატარდა სახელწოდებით „ვან გოგის ფერებით“, რომელშიც პედაგოგ დალი ხოლუაშვილის ხელმძღვანელობით, მისმა მოსწავლეებმა, საკუთარი ნამუშევრებით მივიღეთ მონაწილეობა.

ერთობლივი გადანყვებით, დღევანდელი დღისა და ჩვენი ნახატების თემატიკის ინსპირაცია ვინსენტ ვან გოგი იყო.

ფერწერულად გავაცოცხლეთ როგორც ორიგინალი, ასევე, მხატვრის სტილში შესრულებული ნახატები.

მუშაობის პროცესი სავსე იყო დადებითი ემოციებითა და ცოცხალი განწყობით. გვინდოდა სამყაროსთვის ვან გოგისეული ხედვით, სევდითა და სიყვარულით შეგვეხედა.

მიუხედავად იმისა, რომ მე უკვე ამ ცენტრის კურსდამთავრებული ვარ, ღონისძიებაში მონაწილეობა მაინც მივიღე.



მინდოდა, ჩემი ეს ნამუშევარი პატარა გამოწვევა ყოფილიყო. ამიტომაც შევექმენი ვან გოგის ნახატების კოლაჟი და საღებავში ჩავდე მთელი ჩემი გრძნობა და განწყობა.

ხაშურის მე-8 საჯარო სკოლის
მეცხრე კლასის მოსწავლე ელენე ნეფარიძე

ასკროფსიქოლოგია

წყენა...

ეს მარადიული გრძნობა..., ემოცია, ინსტინქტი თუ ჩვევა, რომელიც მოსვენებას არ გვაძლევს და ცხოვრებას მუქ ფერებში გვიფერადებს...

და, როცა გგონია, რომ მორჩა! მე გავთავისუფლდი წყენებისგანო – აი, ზუსტად მაშინ გაგდებს ცხოვრება ისეთ სიტუაციებში, სადაც მივინწყებული თუ გაუცნობიერებელი წყენები, სხვებზე თუ საკუთარ თავზე, ამოდის ზემოთ და ყველაფერს თავდაყირა აყენებს...

საინტერესოა **ნიკოლაი ბულგაკოვის** თვალსაზრისი ამ მარადიულ გრძნობაზე, რასაც წყენა ჰქვია;

„თუ ადამიანს მყარად აქვს გადაწყვეტილი გაერკვეს და თავიდან მოიშოროს ეს მტანჯველი გრძნობა, ის კარგად და გულდასმით გაეცნობა...

ვინც ჯერ მზად არაა ამისთვის, ის ისედაც გაატარებს დაა...

წყენა – ეს არის ქედმაღლობისა და ურთიერთობის სიმწირის (უუნარობის) შედეგი.

ყველა ადამიანს ახასიათებს წყენა.

საწყენია, აბა რა არის:

როდესაც სამსახურისკენ მიმავალს, გამოპრანჭულს, ვილაც ფეხს დაგაბიჯებს და დაგისვრის საგულდაგულოდ განმენდილ ფეხსაცმელს...

ან საყვარელი ადამიანი ისეთ რალაცას გეტყვის, რომ გული ჩაგწყდება.

საწყენია? – რა თქმა უნდა!

და ასე... უამრავი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება, როდესაც ერთმა, უმნიშვნელო ქმედებამ ან სიტყვამ შეიძლება მთელი დღე ჩაგამწაროთ, ასე არ არის?

და მაინც, საიდან ჩნდება ასეთი დამორგუნველი გრძნობა?

საქმე ის არის, რომ შეუძლებელია, ვინმემ ან რამემ განყენინოს!

შეუძლებელია!

რადგან ადამიანი თავად იღებს გადაწყვეტილებას, ეწყინოს თუ არა!

თავად აკეთებს ამ შეფასებას და წყენასაც თავად იღებს ან არ იღებს!

ადამიანი თავად წყვეტს, საწყენია ეს თუ არ არის საწყენი!

ის, რასაც ერთი ატარებს, მეორეს სწყინს...

და ეს ძირითადად ხდება გაუცნობიერებლად:

– აი, როგორ არ უნდა გეწყინოს, როდესაც უფროსი სრულიად უსამართლო შენიშვნას გაძლევს?

ან როგორი რეაქცია უნდა გქონდეს, როდესაც საყარელი ადამიანი გაგცვლის, შენი აზრით, უღირს პარტნიორში?

ან სხვაგვარად, როგორ უნდა უჩვენო სამყაროს, რომ შენ უკმაყოფილო ხარ?

...და ამ ყველაფრის შედეგად, ზრდასრული ადამიანები ვემსგავსებით პატარა, ნაწყენ ბავშვებს, რომლებსაც სურთ წყენებით, გაბუტვით და ცრემლებით მიაღწიონ თავისას... მიიქციონ ყურადღება, მაგრამ რას უნდა მიაღწიოს უკვე ზრდასრულმა ადამიანმა ამ ცხოვრებაში, რომელსაც გულწრფელად სჯერა, რომ წყენებით (მიზეზით თუ უმიზეზოდ) შეიძლება ვინმეს რამე გააკეთებინოს და რომ ეს გრძნობა რაიმეში დაეხმარება?

ადამიანები უმეტესად ვერ ვაცნობიერებთ, რომ წყენა ეს არის დესტრუქციული ემოცია, რომელიც ხელს გვიშლის განვითარებაში.

და შეუძლებელია წყენებით დამძიმებულმა, წარმატებებს მივლწიოთ ცხოვრების რომელიმე სფეროში....

თუ წყენას მივცემთ საშუალებას, რომ შემოაღწიოს ჩვენს სულში და იქ საფუძვლიანად დაიდოს ბინა, ის გახდება ჩვენი ძირითადი გრძნობა და დაბლოკავს სხვა გრძნობა-ემოციების განვითარებას.

ამასთან, ჩანასახშივე დაბლოკავს სხვა, ნათელ ემოცია-მისწრაფებებს, რომლებიც აუცილებელია ადამიანის პიროვნული ზრდის გზაზე

წყენა მთავარი ბარიერია მიზნის მიღწევის გზებზე.

წყენა ფიზიკური დაავადებების მთავარი წარმომშობი მიზეზია.

მაინც რა უდევს საფუძველში ამ შეგრძნებას?

თითქმის ყველა წყენის საფუძველში დევს განუზოროციელებელი სურვილები და გაუმართლებელი მოლოდინები.

მაგალითად: როდესაც თქვენთვის ახლობელი და საყვარელი ადამიანებისგან მუდამ რაიმეს ელით და ვერ მიიღებ...

აი მეუღლე დღეს სამსახურიდან ადრე გამოვა და კაფეში დავსხდებით... (ვერ გამოვიდა და არ დასხდით).

ჩემი შვილი შესანიშნავად ისწავლის და ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარებს, თანაც, უფასოდ.... (ვერ ისწავლა, ვერ ჩააბარა და ზოგადად, სულ სხვა რამის კეთება სურს ცხოვრებაში)...

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ....დაუსრულებლად...

წყენები თითქოს არსაიდან აღმოცენდებიან და სინამდვილეში კი – ჩვენი ფანტაზიები უდევთ საფუძვლად...

შედეგად კი ვიღებთ მუდმივ უკმაყოფილებას, კამათს, უთანხმოებას, რომელსაც ბოლო არ უჩანს...

ჩვენი ახლობლები კი ვერც ხვდებიან, რა დააშავეს და რაშია პრობლემა ან საერთოდ-დამნაშავის კომპლექსი უვითარდებათ და უნებლიედ მთავარი როლი ენიჭებათ ჩვენი “გონების უბედურების სპექტაკლში”...

შესაბამისად, ნაწყენი ადამიანი არამარტო საკუთარ თავს და ფსიქიკას ინადგურებს, არამედ დესტრუქციულ ემოციებს – საყვარელ ადამიანებსაც ახვევს თავს...

იმისთვის, რომ წყენებმა არ დაანგრიოს ჩვენი ცხოვრება, სამყარო, ჩვენი გეგმები და პიროვნება, აუცილებელია ვისწავლოთ არა მათთან ბრძოლა, არამედ, მათი ტრანსფორმაცია.

მათთან ბრძოლა და წინააღმდეგობა უშედეგოა, რადგან ერთის ადგილზე მეორე ჩნდება, მეორეს ადგილზე მესამე და ა.შ.

ამიტომ საჭიროა ვისწავლოთ მათი ჩანაცვლება, გადაკეთება, ტრანსფორმაცია – ნეგატიური ემოციური ფონიდან – დადებით და რესურსულ ენერგიებზე!

ამისთვის:

გუშვებთ, ვთავისუფლებით წყენებისგან!

თუ ნაწყენი ხართ ერთ, კონკრეტულ ადამიანზე, ან ადამიანებზე, უნდა გააცნობიეროთ, რომ...

ისინი, უბრალოდ, თქვენი ცხოვრების მთავარი მასწავლებლები არიან!

მათი საშუალებით სამყარო გიჩვენებთ რალაცას, მიგანიშნებთ, გაიძულებთ რომ ყურადღება გაამახვილოთ რაიმე კონკრეტულ საკითხზე ან თემაზე ან ემოციაზე....

ამიტომ, კარგი იქნება ამის გაცნობიერება და შემდეგ უკვე მათი ჩაყენება საქმის კურსში:

მიწერეთ, რომ არ ხართ მათზე ნაწყენი, ან დაურეკეთ და გააგებინეთ თქვენი პოზიცია...

თუ მათ არ სურთ თქვენი ნახვა და მოსმენა, ან თქვენ არ შეგიძლიათ ეს,

მაშინ გამოიყენეთ ვიზუალიზაციის მეთოდი –

ნათლად წარმოიდგინეთ ის ადამიანი, ვისაც პატიობთ და მთელი გულწრფელობით, სიყვარულით, სულით და გულით გამოთქვით ყველაფერი, რისი თქმაც გსურთ...

აპატიეთ არა იმისთვის, რომ ასეა საჭირო, არამედ – მთელი გულით და გულწრფელად! თქვენთვის!..

შეეცადეთ, წყენამ ღრმად არ შეაღწიოს თქვენს სულში!..

შეძლებისდაგვარად გაეცალეთ უსიამოვნო სიტუაციებს და ადამიანებს, რომ არ მოხდეს ახალი წყენების პროვოცირება.

და გახსოვდეთ:

ნაწყენი და აგრესიული ადამიანები – ენერგეტიკულ ვამპირებად იქცევიან, ძალაუვნებურად, და ნეგატივით ცდილობენ, თქვენგან წაიღონ სუფთა ენერგია...

ნუ მისცემთ ასეთ შანსს!

მიზნების მიღწევის გზაზე, ნუ იმოქმედებთ ზედმეტად რადიკალურად!

თუ გონებაში უკვე დასახული გაქვთ გეგმები (გახდეთ მდიდარი, შეძლებული, ბედნიერი ადამიანი) იმოდრავით მათკენ ძალიან ფრთხილად და მკვეთრი მოძრაობების გარეშე...

ნუ დაუთმობთ დროს და ზედმეტ ყურადღებას წყენებს (აი, მაინც არ გამომივიდა...)

სამყაროს უჩვენეთ თქვენი სიმშვიდე და არა გადამეტებული დაინტერესება აღნიშნული მიზნით (თუ ამას ვერ მივაღწევ – ვერ ვიცოცხლებ და ა.შ.), რადგან როდესაც წყენისკენ მიდრეკილი ადამიანი ვერ აღწევს მიზანს, მას ეუფლება იმედგაცრუება, უჩნება წყენა-ცხოვრებაზე, საკუთარ თავზე, სამყაროზე, რომელიც არ დაეხმარა არაფერში.... შედეგად კი დგება აპათია, ადამიანი წყვეტს მოქმედებას, შესაბამისად კი – განვითარებას!

შენწყვიტეთ ადამიანებისგან თქვენთვის მისაღები ქცევების მოლოდინი, რა ნიშნავს იმას, რომ ადამიანს აქვს მოლოდინი რომ ის, ვილაც ზუსტად ისე მოიქცევა, როგორი სცენარიც მის ტვინშია...როგორსაც ის ელის...

ადამიანები კი ვერ ხვდებიან და ხედავენ, რა ხდება სხვის ტვინში... რა მოლოდინებია...

გახსოვდეთ, რომ სამყაროში მოქმედებს პრინციპი:

“ არავინ არავისთან ვალდებული არ არის!”

წყენა – ეს არის ქედმაღლობისა და ურთიერთობის უუნარობის შედეგი.

ყველაზე ქედმაღალ და წყენია ადამიანსაც კი შეუძლია თავისი წყენების და დამანგრეველი ემოციების ტრანსფორმაცია – რესურსულ ენერგიებად.

ყველაფერი ლაგდება, როდესაც ადამიანი მიდის თემასთან, რომელსაც ჰქვია პატიება.

აპატიეთ ყველას... გარშემომყოფებს, ცოცხლებს, უკვე გარდაცვლილებს....

ყველას და ყველაფერს, რომლებმაც რაიმეთი განყენინეს...

ყველაზე მთავარი – აპატიეთ საკუთარ თავს!

ადამიანთა უმრავლესობა სწორედ, საკუთარ თავს ვერ პატიობს:

– შემძლო უკეთ გამეკეთებინა, მაგრამ ვერ ვქენი....

– შემძლო მეპასუხა და არ ვუპასუხე...

– მაშინ სხვაგვარად რომ მოვქცეულიყავი, ახლა სხვა სურათი მექნებოდა...

და ამ წყენებისა და უკმაყოფილების ჩამოთვლა ყველა ჩვენგანს შეუძლია, დაუსრულებლად....

გაუშვით....

ნუ ეჭიდებით წარსულს და მითუმეტეს წყენებს!

და თუ დაგროვებული გაქვთ წყენები და უკმაყოფილება, თქვენ ადვილად შეგიძლიათ ის გარდაქმნათ შემოქმედებით ენერგიად, რომელიც ხელის შეშლის ნაცვლად, ხელს შეგიწყობთ ზრდასა და განვითარებაში...

ჩვენ გვაქვს უფლება ნებისმიერ ასაკში ვუთხრათ საკუთარ თავს:

– დიახ, მე შეცდომა დავუშვი. მაგრამ...

მე ვპატიობ ჩემს თავს და უფლებას ვაძლევ მივაღწიო იმ მიზნებს, რომლებიც დავისახე და რომლის ღირსიც ვარ!..”



რედაქციის ელექტრონული პოსტაქ